ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 30 მარტის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 30 მარტის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №8

დ. ხარაგაული

30 მარტი 2020 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე -ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ ძალა ერთობაშია““ თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „ თვითმმართველობა ხალხისათვის““ თავმჯდომარე

გივი თავზარაშვილი ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების““ თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო ის სამსახურის განყოფილების უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

ასევე შმაგი ხიჯაკაძე ა.ა.ი.პ.-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ეკა შავიძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი, საკითხთა ნუსხა და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა გარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 მარტის რიგგარეშე ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ 12 000 ლარი სოციალურად დაუცველი დ 70 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ძალიან ცოტაა, ჩემს სამოქმედო ტერიტორიაზე საღანძილეში არიან ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შვილები, მარგამ ვერ ახერხებენ მშობლებთან მოსვლას, რომ დაეხმარონ, და კიდევ უკვე მეხუთე შემთხვევაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში ვიხდით ფულს, როდემდე უნდა ვიხადოთ სხვისი ფული, ამაზე ვინმემ თუ აგო პასუხი მერიაში, კახა კვინიკაძის გათავისუფლების გრძანება ვინც დაწერა, ახლა 12 500 ლარი რომ უნდა გადავიხადოთ მას თუ მოეთხოვა პასუხი, აუცილებლად უნდა დადგეს ყველას პასუხისმგებლობის საკითხი.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ 12 500 ლარი არ უნდა გადავიხადოთ, კაცს დაამტვრიეს თითები, გამოსაძიებელია საქმე. ამ ფულით გავზარდოთ დახმარების თანხა, მაინტერესებს თუ გაეცით სტიქიით დაზარალებულთა დახმარება, თუ იცით რამდენია 70 წელს გადაცილებულები.

კ. გოლუბიანმა უპასუხა, რომ სასამართლომ კ. კვინიკაძის გათავისუფლება ჩათვალა უკანონოდ, რაც შეეხება 70 წელს გადაცილებული 202 პირია, არის საუბარი კონტიგენტის გაზრდაზეც, სტიქიის თანხების გაცემა დაიწყება უახლოეს დღეებში.

გ. თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ მერიის მიერ ამოტანილ არცერთ ცვლილებას მხარს არ დაუჭერს

ი. მაღრაძემ აღნიშნა, რომ 12 000 ლარი არის ზღვაში წვეთი, გვაქვს სარეზერვო ფონდი და ის თანხა უნდა გამოვიყენოთ,

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ სათნოების სახლს აქვს თანხა და შეუძლია ასეთ პირობებში მომდევნო თვის ხარჯი გადმოიტანოს და ისე გასცეს დახმარება, შემდეგ მოხდება შევსება, კიდევ ერთხელ გამოჩნდა სისუსტე მერიის საქმიანობაში, მან ასევე ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელიც უნდა განხორციელდეს 2020 წელს და გაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არაფერია გათვალისწინებული.

ნ. კიკნაძემ განმარტა, რომ სათნოების სახლმა მიიღო ნებართვა გამარტივებული შესყიდვის და დღეიდან დაიწყება შეტანა პროდუქტის.

მ. ბარბაქაძე დაინტერესდა თუ რა სახის პროდუქტს აწვდიან ბენეფიციარებს

ნ. კიკნაძემ განუმარტა, რომ პირველად მოხმარების სასურსათო პროდუქტი, რომელიც მთავრობის მიერ იქნა განსაზღვრული

გ. თხელიძე დაინტერესდა დახმარება ერთჯერადად იქნება თუ გაგრძელდება დაგვჭირდება გამონაკლისების დაშვება

კ. გოლუბიანმა უპასუხა, რომ აღებულია 12 000 ლარი და გამონაკლისებს დავამატებთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 აპრლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 აპრლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას ინდივიდუალურ რეჟიმში უზრუნველყოს საკითხის განხილვა კომისიის სხდომებზე მათთვის მოსახერხებელი ფორმატით

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე, მან განმარტა, რომ საჯარო სამსახურის შესახებ „ საქართველოს კანონში შესული ცვლილებიდან გამომდინარე მერის წარმომადგენლები ინიშნებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, მერის უფლებამოსილების ვადით ასევე ადმინისტრაციულ სამსახურში იქმნება ბავშვთა უფლებების დაცისა და მხარდაჭერის მომსახურების 3 საშტატი ერთეული, რომელიც მერიაში არსებული ვაკანსიიდან დაკომპლექტდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 06 აპრლის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2020 წლის 06 აპრლის სხდომის დღის წესრიგში.

2. დაევალოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას ინდივიდუალურ რეჟიმში უზრუნველყოს საკითხის განხილვა კომისიის სხდომებზე მათთვის მოსახერხებელი ფორმატით

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 აპრილის

სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილ

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

4..ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხს: ჯაბა ბერაძე

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ „ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე